Cour
Pénale
Internationale

International
Criminal
Court

დედანი: ინგლისურ ენაზე №: ICC-01/15

თარიღი: 27 იანვარი 2015

I წინასასამართლო პალატა

განიხილავენ მოსამართლე ჯოის ალუოჩი, თავმჯდომარე

მოსამართლე კუნო ტარფუსერი

მოსამართლე პეტერ კოვაჩი

საქართველოს სიტუაცია

საჯარო დოკუმენტი

გადაწყვეტილება პროკურორის შუამდგომლობაზე გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ

სასამართლოს რეგლამენტის 31 რეგულაციის თანახმად ამ დოკუმენტის შესახებ უნდა ეცნობოს:

პროკურორის ოფისს

ფატუ ბენსუდა

ჯეიმსი სტიუარტი

მოპასუხეების ადვოკატს

დაზარალებულთა იურიდიულ წარმომადგენლებს

მოსარჩელეთა იურიდიულ წარმომადგენლებს

დაზარალებულ პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ საადვოკატო მომსახურებით

მოსარჩელე პირებს, რომლებიც არ სარგებლობენ საადვოკატო მომსახურებით (მონაწილეობის/რეპარაციისთვის)

დაზარალებულთა საჯარო დაცვის ადვოკატურას

მოპასუხეთა საჯარო დაცვის ადვოკატურას

სახელმწიფოების წარმომადგენლებს

სასამართლო ექსპერტებს

სასამართლო კანცელარია

რეგისტრატორი

ჰერმანი ფონ ჰებელი

ადვოკატთა დახმარების განყოფილება

დაზარალებულთა და მოწმეთა ქვედანაყოფი

საპატიმრო განყოფილება

დაზარალებულთა მონაწილეობის და რეპარაციის განყოფილება

სხვები

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო **I წინასასამართლო პალატამ** პროკურორის შუამდგომლობაზე გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ (ICC-01/15-4-Corr2, "შუამდგომლობა") მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმოვნად, ხოლო მოსამართლე პეტერ კოვაჩმა გადაწყვეტილებას ცალკე თანხვდენილი დასკვნა თან დაურთო.

1. 2015 წლის 13 ოქტომბერს პალატამ მიიღო პროკურორის "მე-15 მუხლის თანახმად შეტანილი შუამდგომლობა გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ", საჯარო და ცალმხრივად კონფიდენციალურ (*ex parte, Lat.*) დანართებთან ერთად (ICC-01/15-4). პროკურორმა I წინასასამართლო პალატისგან ითხოვა „უფლებამოსილება გამოიძიოს საქართველოს სიტუაციაში, 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მიდამოებში, შესაძლო ჩადენილი სამხედრო დანაშაულებები და დანაშაულებები კაცობრიობის წინაშე. 2015 წლის 5 ნოემბერს პროკურორმა განაცხადა, რომ შეუსაბამობიდან გამომდინარე, ან დუბლირების გამო, "დანართების გარკვეული ნაწილების გამოყენებას არ აპირებდა და შესაბამისად ითხოვდა მათ ამოღებას" (ICC-01/15-5, პარ. 2). 2015 წლის 6 ნოემბერს პროკურორმა შეიტანა გარკვეული დანართების კორექტურები, ხოლო 2015 წლის 17 ნოემბერს პროკურორმა შეიტანა შუამდგომლობის მეორე, საბოლოო კორექტურა (ICC-01/15-4-Corr2). შემდეგ შუამდგომლობის ერთი, იმ დრომდე საჯარო დანართი, პროკურორის თხოვნით იყო რეკლასიფიცირებული როგორც "კონფიდენციალური" (ICC-01/15-9-Conf-Exp).

2. 2015 წლის 4 დეკემბერს პალატამ მიიღო 6335 დაზარალებულის, ან მათი წარმომადგენლების საწარმომადგენლო ფორმა, რომის წესდების მე-15(3) მუხლის შესაბამისად ("წესდება") (ICC-01/15-10 და დანართები), და აგრეთვე ამ თემაზე სასამართლო კანცელარიის მოხსენება (ICC-01/15-11 და დანართები).

3. მოცემული გადაწყვეტილება მიღებულია წესდების მე-15 მუხლის შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნულია სხვა პალატების მიერ, მოცემული პროცედურის მიზანი და დანიშნულება მდებარეობს პროკურორის საკუთარი ინიციატივით (*proprio motu, Lat.*), წევრი-სახელწიფოს, ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიმართვის გარეშე, გამოძიების დაწყების უფლებამოსილების სასამართლო კონტროლში.[1] პროცედურული სტადიის და ანალიზის საგნის შესაბამისად, შუამდგომლობა და პროკურორის მოწოდებული დამატებითი მასალები ექვემდებარებიან პალატის მკაცრად განსაზღვრულ განხილვას. ნამდვილად, დადგენილია, რომ პროკურორის საკუთარი ინიციატივით (*proprio motu, Lat.*) გამოძიების დაწყების უფლებამოსილების, წინასასამართლო პალატის მიერ განხილვის ერთად-ერთი მიზანი მდებარეობს იმაში, რომ პროკურორს არ მიეცეს ძალაუფლების ბოროტგამოყენების შესაძლებლობა.[2]

---

[1] II წინასასამართლო პალატა, "რომის წესდების მე-15 მუხლის გადაწყვეტილება კენიის რესპუბლიკის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ", 31 მარტი 2010, ICC-01/09-19-Corr, პარ. 18 ("გადაწყვეტილება კენიის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ").

[2] *Id.*; III წინასასამართლო პალატა, "რომის წესდების მე-15 მუხლის გადაწყვეტილება კოტ-დ 'ივუარის რესპუბლიკის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ", 15 ნოემბერი 2011, ICC-02/11-14-Corr, პარ. 21 ("გადაწყვეტილება კოტ-დ'ივუარის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ").

4. წინასასამართლო პალატები ყოველთვის გამოხატავდნენ ერთგულებას იმაში, რომ წესდების 53(1) მუხლის შესაბამისი, პროკურორის მიერ გამოძიების დაწყების ანალიზის მმართველი კრიტერიუმები, აგრეთვე მნიშვნელოვანია ანალიზისთვის წესდების მე-15(3) და (4) მუხლების შესაბამისად, რადგანაც ისინი ჯერ პროკურორს, და შემდეგ პალატას, შესაძლებლობას აძლევენ, რათა დაადგინონ, არსებობს თუ არა "მართებული საფუძველი გამოძიების დაწყებისთვის"[3]

5. ტექსტის მომდევნო ნაწილებში პალატა გთავაზობთ შუამდგომლობის და დამატებითი მასალების ანალიზის შედეგების ახსნა-განმარტებას წესდების 53(1) მუხლის სამი ნაწილის შესაბამისად: არსებობს, თუ არა მართებული საფუძველი იმისთვის, რომ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული ჩაითვალოს ჩადენილად ან ჩადენის პროცესში მყოფად (I ნაწილი); მისაღებია თუ არა ამ სიტუაციიდან გამომდინარე საქმეები წესდების მე-17 მუხლის თანახმად (II ნაწილი); და არსებობს თუ არა მართებული საფუძველი იმისთვის, რათა ჩაითვალოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს (III ნაწილი). ბოლო ნაწილში მოყვანილია პალატის მთავარი დასკვნა და განსაზღვრულია პროკურორისთვის მოცემული უფლებამოსილების ფარგლები (IV ნაწილი).

[3] <u>გადაწყვეტილება კენიის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ</u>, პარ. 20-25; <u>გადაწყვეტილება კოტ-დ 'ივუარის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ</u>, პარ. 17-18.

I. არსებობს, თუ არა მართებული საფუძველი რათა ჩაითვალოს, რომ ჩადენილია სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაული

6. აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ წესდების 53(1) მუხლი ითხოვს ანალიზის კონცენტრირებას სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ დანაშაულებებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საკმარისია აღინიშნოს, რომ შუამდგომლობაში პროკურორის მიერ მოყვანილი შესაძლო ჩადენილი დანაშაულებები: (i) წესდებით განსაზღვრული დანაშაულებებია, უშუალოდ წესდების მე-7 და მე-8 მუხლით (საგნობრივი იურისდიქცია (*ratione materiae, Lat.*)); (ii) რომლებსაც შესაძლოდ ადგილი ჰქონდათ 2003 წლის 1 დეკემბრის შემდეგ (საქართველოში რომის წესდების ამოქმედების თარიღი) (დროის ფაქტორის იურისდიქცია (*ratione temporis, Lat.*)); (iii) საქართველოს ტერიტორიაზე (ტერიტორიული იურისდიქცია (*ratione loci, Lat.*)). ბოლო ასპექტთან დაკავშირებით, პალატა ეთანხმება პროკურორის წინადადებას (შუამდგომლობა, პარ. 54), რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოს ნაწილად ჩაითვალოს, ვინაიდან სამხრეთ ოსეთი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი-სახელმწიფოს არ წარმოადგენს, და ზოგადად დამოუკიდებელ სახელწიფოდ არ ითვლება.

მნიშვნელოვანი ფაქტები

7. პროკურორის განცხადებით, ჩადენილია შემდეგი შესაძლო დანაშაულებები: სამხედრო დანაშაულებები: (i) განზრახ-სისოცხლის წართმევა (მუხლი 8(2)(a)(i)) ან მკვლელობა (მუხლი 8(2)(c)(i)), საკუთრების განადგურება (მუხლი 8(2)(b)(xiii)) ან (მუხლი 8(2)(e)(xii)), და ძარცვა/მაროდიორობა (მუხლი 8(2)(b)(xvi) ან (2)(e)(v)), სამშვიდობოებზე განზრახ-თავდასმა (მუხლი 8(2)(b)(iii)); და აგრეთვე (ii) დანაშაულებები კაცობრიობის წინაშე: მკვლელობა (მუხლი 7(1)(a)), გაძევება/დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება (მუხლი 7(1)(d)) და დევნა (მუხლი 7(1)(h)).

8. ქვემოთ მოყვანილია პროკურორის შუამდგომლობაში გამოცხადებული, და თანდართული მასალებით დადასტურებული, მნიშვნელოვანი ფაქტების მოკლე შინაარსი.

9. 2008 წლის აგვიტოს კონფლიქტის წინა თვეებში, სამხრეთ ოსეთში და მიდამოებში დაიძაბა ურთიერთობები სამხრეთ ოსური და ქართული მხარეების შორის.[4] 2008 წლის ივლისის თვეში ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ შეტაკებებს, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ქართული სამხედრო მოსამსახურეების დაკავებებს,[5] ქალაქ ცხინვალის და მისი სამხრეთის რაიონების დაბომბვას და სროლას, რომელშიც დაზიანდა რამდენმე ადამიანი, და დაინგრა ქონება,[6] ოთხი რუსული სამხედრო თვითმფრინავის შესაძლო შეჭრას საქართველოს საჰაერო სივრცეში,[7] სროლის ინციდენტებს სამხრეთ ოსეთში,[8] და აგრეთვე, სხვათა შორის, სამხრეთ ოსეთის და საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ლიდერების წინააღმდეგ გამიზნულ აფეთქებების სერიას.[9] 2008 წლის ივლისის 24-დან 28-მდე ცხინვალის სამხრეთ მიდამოებში და საქართველოს ადმინისტრირებულ სოფელ ავნევში, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების

[4] შუამდგომლობა, პარ. 29; დანართი E.2.36, გვ.211; დანართი E.4.3, გვ.10.
[5] შუამდგომლობა, პარ. 31; დანართი E.2.36, გვ.212; დანართი E.4.3, გვ.10.
[6] შუამდგომლობა, პარ. 29; დანართი E.2.36, გვ.211-212; დანართი E.4.3, გვ.10.
[7] შუამდგომლობა, პარ. 31; დანართი E.2.36, გვ.212-213; დანართი E.4.3, გვ.10.
[8] დანართი E.4.3, გვ.10.
[9] შუამდგომლობა, პარ. 29; დანართი E.4.3, გვ.10, დანართი E.2.36, გვ.211.

(JPKF) ქართული ბატალიონის საგუშაგოსთან მოხდა რამდენიმე აფეთქება.[10] 2008 წლის ივლისის 29-დან 31-მდე ადგილი ჰქონდა ურთიერთსროლას საქართველოს ადმინისტრირებულ სოფელ სვერის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრირებულ სოფელ ანძისის შორის, სოფელ ხეთაგუროვოში განლაგებულ სამხრეთ ოსური მილიციის და ქართული პოლიციის საგუშაგოებს შორის, და აგრეთვე იხსნებოდა ცეცხლი გაერთიანებული სამშვიდობო ძალების გაერთიანებული მონიტორინგის ჯგუფზე.[11]

10. 2008 წლის 1-2 აგვისტოს ღამეს, საქართველოს და სამხრეთ ოსეთის კონტროლირებად ტერიტორიების შორის, ადგილი ჰქონდა რამდენიმე ინტენსიურ ურთიერთსროლას სნაიპერის ცეცხლის და ნაღმსატყორცნების გამოყენებით, რის შედეგად დაიჭრა რამდენიმე ადამიანი.[12] ნაკლები ინტენსიურობის ურთიერთსროლები გაგრძელდა 2-3, და 3-4 აგვისტოს ღამეებსაც.[13] არსებული ინფორმაციით, საომარი მოქმედებების დაწყების წინაპერიოდში, სოფელ ანძისში, სარაბუკში, ნულში, ავნევში და ფრონეს ხეობაში დაიბომბა ქართული სამშვიდობოების პოზიციები.[14] დამრღვევების ვინაობა, და თავდასხმის დრო დღესაც სადავოა, იმის მიუხედავად, რომ ქართული მხარე აცხადებს, რომ თავდასხმა განხორციელდა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მხრიდან.[15]

11. 2008 წლის 6 აგვისტოს შუადღის საათებში სროლა მიმდინარეობდა ქართული და სამხრეთ ოსური მხარეების საკონტაქტო ხაზის მთელ მანძილზე,[16] 7 აგვისტოს-კი ცეცხლი გაინტენსიურდა ნაღმტყორცნების და არტილერიის გამოყენებით, რასაც, არსებული ინფორმაციით, მოჰყვა რამდენიმე მსხვერპლი.[17] 2008 წლის 7 აგვისტოს საღამოს საქართველოს პრეზიდენტმა, სატელევიზიო მიმართვაში, გამოაცხადა ერთმხრივი ცეცხლის შეწყვეტა, მაგრამ ამის მიუხადავად,[18] მიახლოებით 22:00 საათზე ბრძოლა იყო განახლებული.[19] ცოტა ხანში ბრძოლაში ჩაერთნენ რუსეთის, სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის სამხედრო დანაყოფები და არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებები, და სიტუაცია გადაიზარდა შინაგან და საერთაშორისო კონფლიქტში, სადაც ერთ დონეზე მოხდა ქართული და რუსული შეიარაღებული ძალების ერთმანეთთან დაპირისპირება, ხოლო მეორე დონეზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დაუპირისპირდნენ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მებრძოლები, არარეგულარულ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ერთად.[20]

12. 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალები, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხრეთიდან, ხოლო რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩრდილოეთიდან

---

[10] შუამდგომლობა, პარ. 29; დანართი E.2.36, გვ.213.
[11] დანართი E.2.36, გვ. 213; დანართი E.2.37, გვ. 21.
[12] დანართი E.2.38-Corr, გვ.16; დანართი E.2.36, გვ.214-215.
[13] დანართი E.2.38-Corr, გვ.16; დანართი E.2.36, გვ.215; დანართი E.2.37, გვ. 22.
[14] შუამდგომლობა, პარ. 164-166; დანართი E.2.37, გვ. 24; დანართი E7.9-Conf-Exp, გვ.2.
[15] იხილეთ შუამდგომლობა, გვ. 166, პროკურორს რუსეთის ხელისუფლების მიერ 2010 წლის 10 მარტს მოწოდებული ინფორმაციის მითითებით.
[16] შუამდგომლობა, პარ. 31; დანართი E.2.38-Corr., გვ.16; დანართი E.2.36, გვ.215, დანართი E.2.37, გვ. 25.
[17] დანართი E.2.36, გვ.215, დანართი E.2.37, გვ. 25.
[18] შუამდგომლობა, პარ. 31; E.2.38-Corr., გვ.16; დანართი E.2.36, გვ.215.
[19] შუამდგომლობა, პარ. 31-32; დანართი E.23.5, გვ. 12,13,21,25 და 33; დანართი E.2.36, გვ.216; დანართი E.2.38-Corr., გვ.16; დანართი E.2.36, გვ.215-216; დანართი E.2.37, გვ. 26; დანართი E.4.10, გვ.9; დანართი E.8.24.
[20] დანართი E.23.5, გვ.12 და 22.

შევიდნენ.[21] უფრო ზუსტად, 2008 წლის 8 აგვიტოს დილის საათებში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს შეტევა ქალაქ ცხინვალზე, და აგრეთვე ჩაატარეს ოპერაციები ქალაქის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებზე.[22] ფლანგური ოპერაციების სავარაუდო დანიშნულება იყო გადაადგილება ჩრდილოეთის მიმართულებით, ჩამომავალი რუსეთის ჯარის გაჩერების მიზნით.[23] თანდართულ მასალებში აგრეთვე მითითებულია, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალები რუსეთის სამშვიდობო ძალებს განზრახულად თავს დაესხნენ: (i) გაერთიანებული სამშვიდობო ძალების (JPKF) შტაბ ბინას, ცხინვალის ცენტრში; და (ii) რუსეთის სამშვიდობო ძალების ბატალიონის (RUPKFB) შტაბ ბინას ვერხნი გოროდოკში, ცხინვალის სამხრეთ-დასავლურ მხარეს.[24] სადავოა, თუ მაგ დროს რუსეთის სამშვიდობოები კონფლიქტში პირდაპირ მონაწილეობას იღებდნენ, და ისიც, თუ სამშვიდობოებზე თავდასხმა საქართველოს შეიარაღებული ძალების ინიციატივით დაიყო, ან განხორციელდა სამშვიდობოების მიერ ცეცხლის გახსნაზე რეაქციის სახით.[25] არსებობს ინფორმაცია, რომ 2008 წლის 8-10 აგვისტომდე საქართველოს შეიარაღებულმა დანაყოფებმა აგრეთვე თავს დაესხნენ გაერთიანებული სამშვიდობო ძალების, რუსული სამშვიდობო ბატალიონის დაკვირვების საგუშაგოებს სოფელ ერედვში, ვანათში, კეხვში, პაუკში, ფრისში, ვანევში, წუნარცბაში, კვერნეთში, ანძისში, არწევში და მეღვრეკისში.[26]

13. შემდეგ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს შეხვდათ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების[27] და რუსეთის შეიარაღებული ძალების[28] სერიოზული წინააღმდეგობა. არსებული ინფორმაციით, 2008 წლის 8 აგვისტოს დილის საათებში, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა ჩაატარეს საჰაერო იერიშები ობიექტებზე საქართველოს ტერიტორიაზე, ვარიანის და გორის ჩათვლით, და თანდათანობით იერიშები გადაიტანეს საქართველოს სხვა რეგიონებზეც, თბილისის ჩათვლით.[29] რუსეთის შეიარაღებულ ძალებს შეუერთდნენ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ფორმირებები.[30]

14. 2008 წლის 8 აგვისტოს საღამოს საათებში, წინააღმდეგობის პირობებში, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დატოვეს ქალაქ ცხინვალის ცენტრალური ნაწილი.[31] 2008 წლის 10 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ გააკეთა განცხადებია ერთმხრივი ცეცხლის შეწყვეტის და სამხრეთ ოსეთიდან შეიარაღებული ძალების გაყვანის შესახებ;[32] რის შემდეგ, შუაღამემდე, ქართული ჯარისკაცების უმეტესობამ დატოვა სამხრეთ ოსეთის ტერიტორია გორის მომართულებით.[33] 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა უკან

---

[21] შუამდგომლობა, პარ. 33, კომენტარი 41; დანართი E.2.38-Corr., გვ.16; დანართი E.23.5, გვ. 22; დანართი E.2.36, გვ.222, 223, 227-228, და 259-260; დანართი E.2.37, გვ.28; დანართი E.4.10, გვ. 62.
[22] დანართი E.4.3, გვ.26.
[23] დანართი E.2.36, გვ.216.
[24] დანართი E.7.7-Conf-Exp-Corr; დანართი E.7.24-Conf-Exp.
[25] დანართი E.7.7-Conf-Exp-Corr; დანართი E.7.24-Conf-Exp.
[26] დანართი E.7.33, გვ.6.
[27] შუამდგომლობა, პარ. 32; დანართი E.2.36, გვ.216-217.
[28] შუამდგომლობა, პარ. 33; დანართი E.2.35, გვ.12.
[29] დანართი E.2.35, გვ.22; დანართი E.2.36, გვ.217, 223; დანართი E.2.37, გვ.28.
[30] დანართი E.2.38-Corr., გვ.36.
[31] შუამდგომლობა, პარ. 33; დანართი E.2.36, გვ.217.
[32] შუამდგომლობა, პარ. 34; დანართი E.2.35, გვ.23; დანართი E.2.36, გვ.218.
[33] შუამდგომლობა, პარ. 34; დანართი E.2.35, გვ.23; დანართი E.2.36, გვ.218; დანართი E.2.37, გვ.32; დანართი E.4.10, გვ.10 და 24.

დაიხიეს გორიდან მცხეთაში, დედაქალაქი თბილისის თავდაცვითი ხაზის მომზადების განზრახვით.[34]

15. საქართველოს შეიარაღებულ ძალებს უკან დევნიდნენ რუსეთის და სამხრეთ-ოსეთის ფორმირებები, რომლებმაც 2008 წლის 12 აგვისტოს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარი გადმოკვეთეს და დააკავეს მოსაზღვრე ტერიტორიები, ქალაქ გორის ჩათვლით.[35] გორში, და სხვა რამდენიმე საქართველოს ადმინისტრირებულ ქალაქში მათ მოაწყეს სამხედრო პოზიციები.[36]

16. გავრცელებული ინფომრაციით, 2008 წლის 12 აგვისტოს, რუსეთის პრეზიდენტის, და ევროკავშირის სახელით[37] გამოსული, საფრანგეთის პრეზიდენტის მოლაპარაკებების დროს მიღწეული ექვს პუნქტიანი მშვიდობიანი გეგმის შესაბამისად, შეწყვეტილი იყო საომარი მოქმედებები საქართველოს და რუსეთის შეიარაღებული ძალების შორის. 2008 წლის 15 და 16 აგვისტოს, საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.[38] რუსეთის პრეზიდენტის მიერ, 2008 წლის 12 აგვისტოს მშვიდობიანი გეგმის სახალხოდ აღიარების მიუხედავად,[39] რუსეთის და სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა კიდევ რამდენიმე ხნის მანძილზე გააგრძელეს წინ წაწევა და დააკავეს, მანამდე საქართველოს მართვის და კონტროლის ქვეშ მყოფი დამატებითი ტერიტორიები, ახალგორის/ლენინგორის ჩათვლით, რომელიც მათ დააკავეს 2008 წლის 16 აგვისტოს.[40]

17. 2008 წლის 15 აგვისტოდან რუსეთის ფორმირებებმა დატოვეს უდავო ქართული ტერიტორია, მაგრამ საქართველოს ადმინისტრაციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მათ შექმნეს, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვარზე მიბმული, 20-კილომეტრიანი "ბუფერული ზონა".[41] 2008 წლის 22 აგვისტომდე რუსული სამხედროების მეტ წილმა დატოვეს სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის გაღმა პოზიციები, მაგრამ რამდენიმე ქვედანაყოფი დარჩა" ბუფერულ ზონაში" 2008 წლის სექტემბრის დასაწყისამდე.[42]

18. 2008 წლის 8 სექტემბერს მოსკოვში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა 2008 წლის 8-9 ოქტომბერს დატოვეს "ბუფერული ზონის" მეტი წილი.[43] 2008 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს პოლიცია დაბრუნდა "ბუფერულ ზონაში".[44]

---

[34] დანართი E.2,36, გვ.218.
[35] შუამდგომლობა, პარ. 34; დანართი E2.36, გვ.218; დანართი E2.37, გვ.34; დანართი E2.38-Corr., გვ.16.
[36] შუამდგომლობა, პარ. 34; დანართი E2.35, გვ.23; დანართი E2.38-Corr., გვ.16.
[37] შუამდგომლობა, პარ. 35; დანართი E2.35, გვ.13 და 24; დანართი E2.36, გვ.226; დანართი E2.38-Corr., გვ.16.
[38] შუამდგომლობა, პარ. 35; დანართი E8.25, გვ.2; დანართი E4.10, გვ.25.
[39] დანართი E2.36, გვ.226; დანართი E2.37, გვ.34.
[40] შუამდგომლობა, პარ. 35; დანართი E2.35, გვ.24; დანართი E2.36, გვ.226; დანართი E.2.37, გვ.40; დანართი E2.38-Corr., გვ.16.
[41] შუამდგომლობა, პარ. 36; დანართი E4.10, გვ.25.
[42] შუამდგომლობა, პარ. 36; დანართი E2.35, გვ.24; დანართი A.2.36, გვ.226; დანართი E.2.37, გვ.42-43; დანართი E4.10., გვ.25.
[43] შუამდგომლობა, პარ. 36; დანართი E2.38-Corr., გვ.17; დანართი A.2.36, გვ.226; დანართი E.4.3, გვ.10.
[44] დანართი E2.38-Corr., გვ.23.

19. იმავე პერიოდის განმავლობაში სამხრეთ ოსეთის ძალები, არარეგულარული შეიარაღებულ დაჯგუფებებთან ერთად,[45] ახორციელებდნენ თავდასხმებს სამხრეთ ოსეთში განლაგებული საქართველოს-მართული სოფლების და "ბუფერულ ზონაში" განლაგებული ქართული სოფლების მშვიდობიან მოსახლეობაზე. თავდასხმები დაიწყო რუსეთის შეიარაღებული ძალების ინტერვენციის შემდეგ, გაგრძელდა მათი საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრის შემდეგ, და გრძელდებოდა რამდენიმე კვირის განმავლობაში 2008 წლის 12 აგვისტოს აქტიური საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ.[46]

20. თავდასხმების ძირითად სამიზნეს წარმოადგენდნენ ეთნიკური ქართველები. სისტემატიურად ადგილი ჰქონდა განზრახ-სიცოცხლის წართმევას, ცემას, დაშინებას, დაპატიმრებას, სახლების ძარცვას/მაროდიორობას და დაწვას. თავდასხმების ორგანიზების დონის მაჩვენებელია ეს ფაქტები, რომ სისტემატიურად ნადგურდებოდა ქართველების კუთვნილი სახლები, მაროდიორები გაძარცვული საკუთრების გამოტანისთვის იყენებდნენ სატვირთო მანქანებს, და დამრღვევები სპეციფიკური დანაშაულის ობიექტების იდენტიფიცირებისთვის იყენებდნენ ადგილობრივ ინფორმატორებს.[47] ცეცხლის წაკიდების წინ სახლებიდან და ფერმებიდან დამრღვევებს გამოჰქონდათ ფასიანი ნივთები.[48]

21. არსებული ინფორმაციით, მოცემული აქციების მიზანი იყო ეთნიკური ქართველების სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან იძულებითი გადაადგილება, ტერიტორიის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შეცვლის, საქართველოსთან დარჩენილი კავშირების შეწყვეტის, და საქართველოსგან დამოუკიდებლობის დამაგრების მიზნით. ცნობილია, რომ სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* (*de facto, Lat.*) ხელისუფლების წარმომადგენლებმა აღიარეს გაძევების პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი, უშუალოდ მშვიდობიანი მოსახლეობის სახლების განზრახული განადგურება, ეთნიკური ქართული მოსახლეობის დაბრუნებაში ხელის შეშლის მიზნით.[49] დამატებითი მასალების შესაბამისად, გაძევების პოლიტიკის პრინციპები წარმოიშვა სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, და გადაცემული იყო სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებში.[50] არსებული ინფორმაციით, არარეგულარული შეიარაღებული დაჯგუფებები ზოგადი მნიშვნელობით შედიოდნენ სამხრეთ ოსეთის სამხედრო სამმართველო სტრუქტურაში.[51]

22. მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმების შედეგი გახდა 51-დან 113-მდე ეთნიკური ქართველის განზრახ-მკვლელობა[52] და სამხრეთ ოსეთის სოფლებიდან და ქალაქებიდან, და აგრეთვე "ბუფერული ზონიდან" 13400-დან 18500-მდე ეთნიკურად ქართველი მოსახლის

---

[45] დანართი E.4.3, გვ.36 და 41.
[46] დანართი E.4.3, გვ.43.
[47] შუამდგომლობა, პარ. 224, 226; დანართი E.2.36, გვ.398; დანართი E.2.38-Corr., გვ.28-30; 42-47; დანართი E.4.3, გვ.43; დანართი E.7.9-Conf-Exp, გვ.278; დანართი E.4.10, გვ.137-138, 145, 147.
[48] დანართი E.2.38-Corr., გვ.28, 45; დანართი E.7.9-Conf-Exp, გვ.39.
[49] დანართი E.2.38-Corr., გვ.44; დანართი E.5.1, გვ.127 (*დე ფაქტო* პარლამენტის თავმჯდომარის ციტატა); Human Rights Watch-ის პუბლიკაცია, დანართი E.4.10, გვ.158 (*დე ფაქტო* პრეზიდენტის ციტატა); დანართი E.8.30, გვ.5 (სამხრეთ ოსეთის დაზვერვის ოფიცრის ციტატა); დანართი E.7.9-Conf-Exp, გვ. 243-244 (მუგუთის სამოქალაქო რაზმის წევრის ციტატა).
[50] შუამდგომლობა, პარ. 241; დანართი E.7.9-Conf-Exp, გვ. 83-84.
[51] დანართი E.4.3, გვ.41.
[52] დანართი E.2.38-Corr, გვ. 44; დანართი E.4.3; დანართი E.4.9; დანართი E.5.1; დანართი E.5.3-Conf; დანართი E.7.1-Conf-Exp-Corr; დანართი E.7.9-Conf-Exp.

იძულებითი გადაადგილება.[53] არსებული ინფომრაციით, ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობის საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან გაძევების მიზნით, შიშის და ტერორის ატმოსფეროს შექმნისათვის, სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გამოიყენეს შემდეგი ძალადობის აქტები: სიცოცხლის წართმევა, სასტიკი ცემა, სიტყვიერი შეურაცყოფა, დაშინება და დამუქრება, დაპატიმრება, ძარცვა/მაროდიორობა და საკუთრების განადგურება.[54]

23. არსებობს განსხვავებული ინფორმაცია რუსეთის შეიარაღებული ძალებისა, ან რუსეთის ფედერაციის დამოკიდებულებაზე, რუსეთის შეიარაღებული ძალების წევრების, ან სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ შესაძლო ჩადენილ დანაშაულებისადმი. არსებობს ინფორმაცია, რომ ზოგიერთი რუსეთის შეიარაღებული ძალების წევრი იღებდა ამ აქციებში აქტიურ მონაწილეობას, და ამავე დროს, სხვები პასიურები დარჩნენ. მაგალითად, როდესაც იყო დასმული შეკითხვა, თუ რატომ რუსეთის შეარაღებული ძალები არ ებრძოლნენ ხანძრებს, არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთმა რუსეთის არმიის ოფიცერმა განაცხადა, რომ ეს იყო შეთანხმებული ტაქტიკა.[55] მაგრამ ამასთან ერთად, პალატა შენიშნავს რამდენიმე შემთხვევას, როდესაც, არსებული ინფომრაციით, რუსეთის შეიარაღებული ძალების წევრებმა მიიღეს ზომები მშვიდობიანი მსხვერპლების დაცვის და დახმარების მიზნით.[56]

პალატის დასკვნები

24. ამ ეტაპზე პალატა წარმოადგენს თავის დასკვნებს იმის შესახებ, თუ პროკურორის წარმოდგენილი ფაქტების და შუამდგომლობასთან ერთად შეტანილი დამატებითი მასალების საფუძველზე, არსებობს მართებული საფუძველი რათა ჩაითვალოს, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულს, რომელიც ექვემდებარება სასამართლოს იურისდიქციას.

25. არსებობს პრეცედენტი, რომ წესდების მე-15 მუხლის ფარგლებში მოქმედმა პალატებმა დაასკვნეს, რომ კრიტერიუმების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი არ არის, რომ პროკურორის მიერ მოწოდებული მასალებიდან გამომდინარეობდეს "მხოლოდ ერთი დასკვნა ყოველგვარი ვარაუდის გარეშე",[57] და აგრეთვე არ არის აუცილებელი, რომ ეს მასალა იყოს ამომწურავი.[58] აუცილებელია მხოლოდ, რომ არსებობდეს "მისაღები და ლოგიკური მიზეზი იმ ვარაუდისთვის, რომ სასამართლოს იურისდიქციის დაქვემდებარებაში შემავალ დანაშაულებებს 'ამჟამად ადგილი აქვთ, ან ჰქონდათ'".[59] სხვა პროცედურის კონტექსტში პალატამ ახლახან აღნიშნა, რომ "წესდების 53(1) მუხლის ტექსტს, და ამ მუხლის შესაბამის პროკურორის ანალიზის საგანს და მიზანს არ შეესაბამება, თუ პროკურორი არ განიხილავს

[53] დანართი E.7.9-Conf-Exp.
[54] შუამდგომლობა, პარ. 265; დანართი E.2.38-Corr., გვ.22, 34; დანართი E4.10, გვ.10.
[55] დანართი E.4.3, გვ.45.
[56] დანართი E.2.38-Corr., გვ.37.
[57] გადაწყვეტილება კენიის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარ. 34.
[58] გადაწყვეტილება კოტ-დ'ივუარის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარ.24.
[59] გადაწყვეტილება კენიის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარ. 35; გადაწყვეტილება კოტ-დ'ივუარის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ, პარ.24.

მთლიან ხელმისაწვდომ ინფომრაციას, იმ ინფომრაციის გარდა, რომელიც ცხადად არასწორია".[60]

26. ამ ეტაპზე პალატა თვლის რომ საქმეში არსებული ინფომრაცია აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, რათა კვალიფიცირებული იყოს შესაძლო ჩადენილი სამხედრო დანაშაულებები და დანაშაულებებს კაცობრიობის წინაშე.

27. რაც შეეხება სამხედრო დანაშაულებებს, პალატა თვლის, რომ არსებული ინფორმაცია საკმარისად ადასტურებს, რომ საქართველოს და რუსეთის ფედერაციის შორის, 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე, ადგილი ჰქონდა საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტს. კონფლიქტის არსებობა საკმაოდ უდავოა საქართველოს და რუსეთის შეიარაღებული ძალების შორის საბრძოლო მოქმედებების პერიოდში 2008 წლის 8-დან 12 აგვისტომდე, და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ნაწილის, განსაკუთრებით "ბუფერული ზონის" ოკუპაციის პერიოდში, რომელიც მინიმალურად გაგრძელდა, 2008 წლის 10 ოქტომბრამდე. ამასთან ერთად, პალატა თვლის, რომ არსებობს საკმარისი ინფორმაცია. რათა ჩაითვვალოს, რომ რუსეთის ფედერაცია ზოგადად აკონტროლებდა სამხრეთ ოსეთის შეიარაღებულ ძალებს,[61] რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების პირდაპირი ინტერვენციის წინა პერიოდიც შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტად (იხილეთ ზემოთ, პარ. 9-11).

28. იმავე დროს, პალატა თვლის, რომ მოცემულ სტადიაზე ამ ბოლო ასპექტს მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც, აგრეთვე პროკურორის სწორი მითითების თანახმად (შუამდგომლობა, პარ. 81), მოცემული სამხედრო დანაშაულებები არსებობენ როგორც საერთაშორისო, ასევე არა-საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის კონტექსტში.

29. ამიტომ, პალატის თვალსაზრისით, პროკურორის მიერ მოწოდებული წინამდებარე ინფორმაცია შეიცავს შემდეგი სამხედრო დანაშაულებების სპეციფიკურ ელემენტებს: სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ეთნიკური ქართველების განზრახ-მკვლელობა, წესდების მუხლი მე-8(2)(a)(i) (იხილეთ ზემოთ, პარ. 20 და 22), სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ეთნიკური ქართველების საკუთრების განადგურება, წესდების მუხლი მე-8(2)(b)(xiii) (იხილეთ ზემოთ, პარ. 20 და 22), სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ეთნიკური ქართველების საკუთრების ძარცვა/მაროდიორობა, წესდების მუხლი მე-8(2)(b)(xvi) (იხილეთ ზემოთ, პარ. 20 და 22), და, წესდების მუხლი მე-8(2)(b)(iii), განზრახ თავდასხმა სამშვიდობო ძალებზე, როგორც სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ ქართველ სამშვიდობოებზე, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ რუს სამშვიდობოებზე (იხილეთ ზემოთ, პარ. 10 და 12). აგრეთვე, დანაშაულებებში ჩართული შეიარაღებული ძალების, დროის, ადგილის, და კონტექსტის შესაბამისად, პალატა აღნიშნავს დანაშაულებების კავშირს შეიარაღებულ კონფლიქტთან, რაც აუცილებელია დანაშაულებების კვალიფიცირებისთვის. რაც შეეხება სამშვიდობო ძალებზე განზრახ-თავდასხმის დანაშაულს, პალატა აღნიშნავს რამდენიმე გაურკვეველი საკითხის არსებობას, როგორც საკითხი რუსეთის და საქართველოს სამშვიდობო ძალების, როგორც 1992 წლის სოჩის შეთანხმების შესაბამისად.

[60] I წინასასამართლო პალატა, "კომორების კავშირის შუამდგომლობა პროკურორის 'გამოძიების არ დაწყების' გადაწყვეტილების განხილვის შესახებ", 16 ივლისი 2015, ICC-01/13-34, პარ.35.
[61] დანართი E.2.35; დანართი E.2.36; დანართი E.2.37; დანართი E.7.9-Conf-Exp; დანართი E.8.6; დანართი E.8.9; დანართი E.8.12.

განთავსებული სამშვიდობო კონტინგენტის (JPKF), დაცული სტატუსის შესახებ. აგრეთვე არსებობს, შეიარაღებულ კონფლიქტში პირდაპირი ჩარევის შემდეგ, ყოველგვარი დაცული სტატუსის შესაძლო დაკარგვის საკითხი. ამ ორ საკითხთან დაკავშირებით პალატა ეთანხმება პროკურორს (შუამდგომლობა, პარ. 169, 189), და თვლის, რომ ეს გაურკვეველი საკითხები არ უნდა წარმოადგენდეს დამაბრკოლებელ ფაქტორს გამოძიებისთვის დაწყებისთვის, და უნდა იყოს გადაწყვეტილი გამოძიების ფარგლებში.

30. რაც შეეხება დანაშაულებებს კაცობრიობის წინაშე, პალატა თვლის, რომ სამხრეთ ოსეთის ძალების ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩატარებული, ზემოთხსენებული ძალადობის კამპანია (იხილეთ ზემოთ, პარ. 19-22), წესდების მე-7(2)(a) მუხლის შესაბამისად წარმოადგენს თავდასხმას მშვიდობიან მოსახლეობაზე.

31. გარდა ამისა, პალატა თვლის, რომ შესრულებულია შემდეგი დანაშაულებების კაცობრიობის წინაშე სპეციფიკური კრიტერიუმები: მკვლელობა (იხილეთ ზემოთ, პარ. 20 და 22), მოსახლეობის დეპორტაცია და იძულებითი გადაადგილება (იხილეთ ზემოთ, პარ. 21-22), და დევნა (იხილეთ ზემოთ, პარ. 19-22), მუხლი მე-7(1)-ს (a), (d) და (h) პუნქტების ქვეშ, და რომ ეს დანაშაულებები წარმოადგენდნენ მოსახლეობაზე ფართომასშტაბიანი თავდასხმის ნაწილს.

32. საერთო ჯამში, პალატა თვლის რომ არსებობს მართებული საფუძველი, რათა ჩაითვალოს, რომ ნამდვილად ადგილი ჰქონდა სასამართლოს იურისდიქციაში არსებულ დანაშაულებებს.

33. საბოლოოდ, მოცემული დასკვნის მიღწევის შემდეგ, პალატა საჭიროდ თვლის პროკურორის მიერ წესდების 53(1)(a) მუხლის კრიტერიუმის ანალიზთან დაკავშირებული მოწოდებული არგუმენტების მოკლე განხილვას.

34. პალატა აღნიშნავს, რომ იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ საქართველოს და რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ნამდვილად განახორციელეს განურჩევლადი და არაპროპორციული თავდასხმები მშვიდობიან სამოქალაქო ობიექტებზე, პროკურორი, დადებითი პასუხის დამჭერი ინფომრაციის არსებობის მიუხედავად, აცხადებს, რომ "იმის გამო რომ სათანადო გამოძიების ჩატარების გარეშე შეიარაღებული კონფლიქტის დროს მომხდარი ფაქტების დადგენა წარმოადგენს სირთულეს, ამჟამად ხელმისაწვდომი შეზღუდული ინფომრაციის საფუძველზე, პროკურორმა ჯერჯერობით ამ საკითხთან დაკავშირებით ვერ მიაღწია სათანადო სტანდარტის დასკვნას […]" (შუამდგომლობა, პარ. 3) შუამდგომლობის 46 პარაგრაფში პროკურორი აღნიშნავს, რომ მან დასკვნა ვერ გამოიტანა რადგან, "ხშირ შემთხვევაში ხელმისაწვდომი ინფომრაცია წარმოიშვებოდა კონფლიქტის მხოლოდ ერთი მხარისგან, მეორე მხარის ინფორმაცია უარყოფდა პირველი მხარის ინფომრაციას, და არ არსებობდა მესამე მხარე, რომელსაც შეეძლო ერთის ან მეორის დადასტურება, ან შესაბამისი დასკვნის გაკეთება." პროკურორმა განაცხადა ისიც, რომ "არსებული ინფომრაციის ანალიზის დროს, პროკურორმა გაითვალისწინა კონფლიქტის მხარეების შესაძლო არაობიექტურობა და შესაძლო არსებული ინტერესები, და ამიტომ ძირითადი ყურადღება მიაქცია სანდო მესამე მხარეების მიერ დადასტურებულ განცხადებებს." აგრეთვე, პროკურორმა განაცხადა, რომ მან "შეაგროვა ინფომრაცია სექსუალური ან სქესობრივი ძალადობის შესახებ, გაუპატიურების ჩათვლით, თუმცა ამ სტადიაზე არ არსებობს ნათელი ინფორმაცია სავარაუდო დამრღვევების შესახებ, ან ამ დანაშაულებების შეიარაღებულ, ან ზოგად კონფლიქტთან კავშირის შესახებ" (შუამდგომლობა, პარ. 4).

35. პროკურორის მიერ მითითებული დამატებითი ინფორმაციის განხილვის შემდეგ პალატამ ჩათვალა, რომ პროკურორმა თავი მეტისმეტად შეიკავა, და მასალები განიხილა ისეთი კრიტერიუმების მიხედვით, რომლების შესრულება შეუძლებელია სათანადო გამოძიების ჩატარების გარეშე, როდესაც, შუამდგომლობაში პროკურორი ზუსტად ასეთი გამოძიების დაწყების უფლებამოსილების ითხოვს. მაგრამ, იმის მიხედვით, რომ მოცემული გადაწყვეტილებით პროკურორს მიეცა გამოძიების დაწყების უფლებამოსილება, და ამით, როგორც პროკურორი სწორედ აღნიშნავს, შესაძლებელი გახდა განურჩევლადი და არაპროპორციული თავდასხმების და სქესობრივი ძალადობის დანაშაულებების გამოძიება, პალატამ საჭიროდ არ ჩათვალა პროკურორის, წესდების 53(1) მუხლის შესაბამისი ანალიზის და დასკვნების რექტიფიკაცია. პალატის თვალსაზრისით, ამით პალატა გამოვიდოდა წესდების მე-15(4) მუხლით მოცემული უფლებამოსილების სფეროდან, რომელიც მდებარეობს იმის დადგენაში, თუ "შუამდგომლობის და დამადასტურებელი მასალების განხილვის შემდეგ" არსებობს "გამოძიების გაგრძელების საკმარისი საფუძველი". თუ, პროკურორის არგუმენტების საფუძველზე, პალატა ჩათვლის, რომ ეს წინაპირობა შესრულებულია, როგორც ამ შემთხვევაში, მაშინ პალატის მხრიდან, წარდგენილი შუამდგომლობის განხილვის ფარგლების გადაკვეთა, პროკურორის ნებისმიერი სავარაუდო შეცდომის შესწორებისთვის, უსარგებლოა და უადგილოა. პალატის თვალსაზრისით, საკმარისი იქნება ასეთი ასპექტების მოკლე ახსნა-განმარტება.

II. სიტუაციიდან გამომდინარე პოტენციური საქმეების დაშვებადობის საკითხი, წესდების მე-17 მუხლის შესაბამისად

36. წესდების 53(1)(b) მუხლის შესაბამისად, გამოძიების დაწყების მეორე წინაპირობას წარმოადგენს "დასაშვებია, თუ არა საქმე მე-17 მუხლის თანახმად". გამოძიების დაწყების უფლებამოსილების საკითხის განხილვის ფაზაში კონკრეტული საქმის დაშვებადობის შეფასება შეუძლებელია, რადგანაც გამოძიების დაწყებამდე შეუძლებელია საქმის ზუსტი პარამეტრების - საქმის ფაქტების და სისხლის სამართლებრივი დევნისთვის იდენტიფიცირებული ეჭვმიტანილების, ზუსტი დადგენა. ამიტომ, პრეცედენტის შესაბამისად [62] , მოცემულ სტადიაზე დაშვებადობის დადგენა უნდა განხორციელდეს "პოტენციური საქმეების" მიმართებაში, რომლების წარდგენა პროკურორს შეუძლია ამ სტადიაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, და მის მიერ შემოტანილი მასალების კონტექსტში. უშუალოდ, მოცემული ანალიზისთვის პალატა იყენებს "სასამართლოს იურისდიქციას დაქვემდებარებული, სიტუაციის ფარგლებში, ყველაზე სერიოზული ინციდენტების დროს, შესაძლო ჩადენილი დანაშაულებების ჩვენებად სიას" და "ყველაზე სერიოზულ დანაშაულებებზე სავარაუდოდ პასუხისმგებელი პირების ან პირთა ჯგუფების სიას, მათი კონკრეტული როლის აღწერით" (შუამდგომლობის დანართები A.1 და B.1).

37. ამასთან დაკავშირებით, პალატა აღნიშნავს, რომ სიტუაციის კონტექსტში "პოტენციური საქმის" განმსაზღვრელ კრიტერიუმებს სხვათა შორის წარმოადგენენ: (i) სასამართლოს მომავალი საქმეების გაფორმებისთვის აუცილებელი გამოძიების სავარაუდო ფიგურანტები:

[62] <u>გადაწყვეტილება კენიის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ</u>, პარ. 50; <u>გადაწყვეტილება კოტ-დ'ივუარის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ</u>, პარ.190.

გარკვეული პიროვნება, ან პიროვნებათა ჯგუფი; და (ii) სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებში მყოფი დანაშაულებები, ჩადენილი ერთ-ერთი ესეთი ინციდენტის განმავლობაში, რომელიც სავარაუდოდ გამოიწვევს მომავალი საქმეების გაფორმებას. მაგრამ, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ პროკურორის მომავალი საქმეების გაფორმებისთვის აუცილებელი პიროვნებების, ან დამრღვევთა ჯგუფის და ინციდენტების შერჩევას ამ ეტაპზე აქვს წინასწარი ხასიათი, და ამიტომ შესაძლოა, რომ გამოძიების განმავლობაში ეს პარამეტრები შეიცვალოს.[63]

38. მომდევნო პარაგრაფებში პალატა თანმიმდევრულად განიხილავს მე-17 მუხლის სასამართლოში საქმეების დაშვებადობის ორ წინაპირობას: კომპლემენტარულობას და სიმძიმეს.

კომპლემენტარულობა

39. პალატა თვლის, რომ ამ ეტაპზე კომპლემენტარულობის საკითხის განხილვას ესაჭიროება იმის განხილვა თუ, პროცესი პოტენციური საქმის ფიგურანტის ან ფიგურანტების, და არსებული ინფორმაციით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ, ამჟამად წარმოებაშია ან არის წარმოებული რომელიმე სახელმწიფოში. წესდების 53(1)(b) მუხლის წინაპირობა ითვლება შესრულებულად, თუ პოტენციური საქმეების (ნაწილი) ეროვნული ინსტიტუციების მიერ განხილული/გამოძიებული არ არის.

40. შუამდგომლობაში პროკურორმა პალატას წაუდგინა ინფორმაცია საქართველოს და რუსეთის ფედერაციის ეროვნულ ინსტიტუციებში სისხლის სამართლებრივი დევნის სტატუის შესახებ, და აღნიშნა, რომ შესაბამისი დანაშაულებების გამოძიებას ამჟამად არ ახორციელებს არც ერთი სხვა სახელმწიფო. პალატა ეთანხმება პროკურორის დასკვნას (შუამდგომლობა, პარ. 322) იმის შესახებ, რომ ნებისმიერი სამხრეთ ოსეთის *დე ფაქტო* (*de facto. Lat.*) ხელისუფლების მიერ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა, არ დააკმაყოფილებს წესდების მე-17 მუხლის წინაპირობებს, ვინაიდან სამხრეთ ოსეთი არ არის აღიარებული, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

41. რაც შეეხება საქართველოს, პროკურორი აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ, 2008 წლის აგვისტოს - 2014 წლის ნოემბრის პერიოდში, 2008 წლის კონფლიქტთან დაკავშირებით, ჩაატარა გარკვეული საგამომძიებლო მოქმედებები (შუამდგომლობა, პარ. 279-301), მაგრამ, სისხლისსამართლებრივი პროცედურები დასრულებული არ იყო. 2015 წლის 17 მარტის წერილით საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა პროკურორს, რომ „მოცემული შუამდგომლობის საფუძველში არსებული შესაძლო ჩადენილი დანაშაულებების ეროვნულ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას/დევნას ხელს უშლის „ოკუპირებულ", და მოსაზღვრე ტერიტორიებზე არსებული სახიფათო მდგომარეობა, რადგანაც ამ ტერიტორიებზე ამ დრომდე გავრცელებულია ძალადობა მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ". [64] პალატის თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში, ეს წერილი მარეგულირებელია: ამჟამად ადგილი აქვს

[63] <u>გადაწყვეტილება კენიის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ</u>, პარ. 50; <u>გადაწყვეტილება კოტ-დ'ივუარის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ</u>, პარ.191.

[64] დანართი G.

საქართველოს კომპეტენტური ინსტიტუციების უმოქმედობას, და არსებული სიტუაციიდან გამომდინარე ყველა პოტენციური საქმე დასაშვებია.

42. რაც შეეხება რუსეთის ფედერაციის ეროვნულ პროცედურებს, შუამდგომლობაში პროკურორი წარმოგვიდგენს (i) ეთნიკური ქართველების სამხრეთ ოსეთიდან და "ბუფერული ზონიდან" გაძევების მიზნით ჩატარებული იძულებითი გადაადგილების კამპანიის და (ii) რუსეთის სამშვიდობო ძალებზე თავდასხმის დანაშაულებებთან დაკავშირებული პოტენციური საქმეების ანალიზს (შუამდგომლობა, პარ. 305-320).

43. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთიდან და "ბუფერული ზონიდან" ეთნიკური ქართველების იძულებით გაძევების კამპანიას, პროკურორმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომელიც დაფუძნებულია რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან, 2011 წლის 3 თებერვლის, და 2014 წლის 23-24 იანვრის შეხვედრების შედეგებზე, და მათთან მიმოწერაზე. მოყვანილი ინფორმაციის თანახმად, 2010 წლიდან 2014 წლამდე ჩატარებული გამოძიების ფარგლებში, რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტმა განიხილა 575 ქართველი დაზარალებულის, რუსი ჯარისკაცების წინააღმდეგ შეტანილი განცხადება.[65] განცხადებების საგანი იყო მკვლელობები, ან მკვლელობის მცდელობები, საკუთრების განადგურება და ძარცვა/მაროდიორობა.[66]

44. პროკურორთან 2012 წლის 18 ივნისის წერილში რუსეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ განცხადებების გადამოწმების და "დამატებითი მტკიცებულებების შეგროვების" მიზნით რუსულმა მხარემ ქართულ მხარეს რამდენიმეჯერ უშედეგოდ მიმართა სამართლებრივი დახმარების გაწევის შუამდგომლობით.[67] ამის მიუხედავად, ჩატარდა 2000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცის დაკითხვა მოწმის სახით, და გამოძიების განმავლობაში მიღებული იყო საბუთები 50-ზე მეტი სამხედრო ნაწილიდან.[68] 2012 წლის 18 ივნისის წერილი შეიცავს დასკვნას, რომ "გამოძიებამ დაადგინა, რომ საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო კონტინგენტის ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, შეიარაღებული ძალების სარდლობამ […] მიიღო ამომწურავი ზომები ძარცვის/მაროდიორობის, ძალადობის, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განურჩევლადი ძალის გამოყენების პრევენციისთვის [და რომ] გამოძიებამ ვერ დაადგინა, საქართველოს და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დანაშაულებების ჩადენაში, რუსი ჯარისკაცების მონაწილეობის ფაქტები".[69]

45. ამ კონტექსტში პროკურორი აღნიშნავს, რომ "პროკურორის მიერ სანდოდ შეფასებული ინფორმაცია ნაწილობრივ ადასტურებს მოცემულ დასკვნას, რომ რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მიიღეს ზომები დანაშაულებების პრევენციის და დასჯისთვის, მაგრამ ამავე დროს სხვა სანდო ინფომრაცია გვატყობინებს, რომ რუსული ჯარისკაცები მონაწილეობას იღებდნენ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ჩადენილ დანაშაულებებში, ან პასიურად ესწრებოდნენ ამ დანაშაულებების ჩადენას" (შუამდგომლობა, პარ. 308). სრული ინფომრაციის გათვალისწინებით, პროკურორი დაასკვნის, რომ "ფაქტების დადგენის რამდენიმე შეტყობინებული მცდელობის მიუხედავად, რუსეთის ფედერაციას არ მიუღია კონკრეტული

[65] იხილეთ შუამდგომლობა, პარ. 305, რუსეთის ხელისუფლების მიერ 2014 წლის 24 იანვარს მოწოდებული ინფორმაციის მითითებით.
[66] იხილეთ შუამდგომლობა, პარ. 305, რუსეთის ხელისუფლების მიერ 2014 წლის 24 იანვარს მოწოდებული ინფორმაციის მითითებით.
[67] დანართი E.7.22, გვ.3.
[68] დანართი E.7.22, გვ.3.
[69] დანართი E.7.22, გვ.4.

და თანამიმდევრული ზომები, შუამდგომლობაში იდენტიფიცირებული პოტენციური საქმეების ფარგლებში შესაძლო ჩადენილ დანაშაულებებში ჩარეული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენისათვის" (შუამდგომლობა, პარ. 312).

46. ხელმისაწვდომი ინფომრაციის განხილვის შემდეგ, პალატამ ვერ დაასკვნა, რომ რუსეთის ეროვნული სისხლისსამართლებრივი პროცედურები არ აკმაყოფილებენ წესდების მე-17(1)(b) მუხლის წინაპირობებს. იმის მიუხედავად, რომ პალატა ამომწურავად არ თვლის პროკურორის დასკვნას იმის შესახებ, რომ მას გააჩნია რუსეთის სასამართლო ორგანოების დასკვნის უარმყოფი მტკიცებულებები, წესდების მე-17(1)(b) მუხლის ანალიზის ჩატარების ფარგლებში, პალატას გააჩნია დაფუძნებული ვარაუდი იმაში, რომ გარემოებები, რომლების გამო რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ მიიღეს გადამწყვეტი ინფორმაცია, ანუ ვერ დაკითხეს ქართველი მოწმეები, წარმოადგენენ წესდების მე-17 მუხლში განსაზღვრულ *უუნარობის სიტუაციას.* ნებისმიერ შემთხვევაში, პალატა თვლის უადგილოდ ამ საკითხის [70]საბოლოოდ გადაწყვეტის მცდელობას მოცემულ განხილვის კონტექსტში, ვინაიდან სიტუაციის ფარგლებში აგრეთვე არსებობენ სხვა პოტენციურად დასაშვები საქმეები. მოცემული ეროვნული სისხლისსამართლებრივი პროცედურები ეხებოდნენ სიტუაციიდან გამომდინარე პოტენციური საქმეების მხოლოდ ერთ ნაწილს, უშუალოდ რუსეთის შეიარაღებული ძალების წევრების მონაწილეობას სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ განხორციელებულ იძულებით გაძევების კამპანიაში (იხილეთ ზემოთ, პარ. 23). აქედან გამომდინარე, პროკურორისთვის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების გაცემა გამართლებულია, რადგანაც პროკურორის გამოძიების ფარგლებში თავისთავად იქნება განხილული დაშვებადობის საკითხიც. წინამდებარე საკითხი-კი, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება შესაბამისად იყოს გადაწყვეტილი მომდევნო სტადიაზე.

47. რაც შეეხება რუსეთის უფლებამოსილი ორგანოების, რუსულ სამშვიდობო ძალებზე თავდასხმის საქმის გამოძიებას, არსებული ინფომრაციის თანახმად, შესაბამისი გამოძიება დაიწყო 2008 წლის 8 აგვისტოს და გამოძიების თემა იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ გაერთიანებულ სამშვიდობო ძალებში შემავალი, რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეების მკვლელობა (საქმის ნომერი 14/00/0051-08d).

48. სისხლის სამართლის გამოძიებამ აგრეთვე დაადგინა, რომ უცნობმა ქართველმა ჯარისკაცებმა განახორციელეს თავდასხმები "საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებზე და ორგანიზაციებზე, უშუალოდ, ცხინვალში განლაგებულ, გაერთიანებული სამშვიდობო ძალების, რუსული სამშვიდობო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებზე".[71] ხელმისაწვდომი მასალების თანახმად, მტკიცებულების სახით იყო შეგროვილი 3000-ზე მეტი საგანი და საბუთი, და აგრეთვე ჩატარდა 1000-ზე მეტი შემთხვევის ადგილის, სხვათა შორის, "სამშვიდობო ძალების ბატალიონის პოზიციების ცხინვალში, და სამხრეთ ოსეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში" გამოძიება.[72]

49. ბოლო დროს რუსეთმა გააგრძელა საგამომძიებლო ღონისძიებების ჩატარება. უშუალოდ, არსებული ინფორმაციით, რუსეთის ფედერაციის საგამომძიებლო კომიტეტი ამჟამად ატარებს

[70] შუამდგომლობა, პარ. 313-320; დანართი E.7.33, გვ.2.
[71] E.7.33, გვ.3.
[72] E.7.33, გვ.4.

სასამართლო ექსპერტიზას და განმეორებით ატარებს სამშვიდობოებზე თავდასხმის მოწმეების და მსხვერპლების დაკითხვას. პროკურორის თანახმად, მოცემული ღონისძიებების ჩატარებამ გამოიწვია ეროვნული გამოძიების გაგრძელება 2016 წლის 8 თებერვლამდე (შუამდგომლობა, პარ. 319)

50. ზემდგომის მიხედვით, პალატა ეთანხმება პროკურორის დასკვნას, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებული და მიმდინარე საგამომძიებლო ღონისძიებები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს გააჩნია გამოძიების ჩატარების როგორც სურვილი ასევე უნარი. აქედან გამომდინარე შესაძლებელია, რომ რუს სამშვიდობოებზე თავდასხმის პოტენციური საქმე დასაშვები არ იყოს, და პალატა ეთანხმება პროკურორის განცხადებას იმის შესახებ, რომ "პროკურორი ხელახლად გაანალიზებს ამ დასკვნას, ნებადართული გამოძიების კონტექსტში" (შუამდგომლობა, პარ. 320).

სიმძიმე

51. დაშვებადობის საკითხის განხილვის მეორე ნაწილი პალატისგან მოითხოვს იმის შეფასებას, იქნება თუ არა მოთხოვნილი გამოძიებიდან გამომდინარე პოტენციური დანაშაულებების სიმძიმე "საკმარისი იმისთვის რომ გაამართლოს სასამართლოს მიერ მომდევნო ზომების მიღება". პალატა ადგენს, რომ: (i) დანაშაულის სიმძიმის შეფასება ითხოვს ზოგად ანალიზს იმისა (ზოგადი ხასიათის წინა საგამომძიებლო ანალიზი), შედიან თუ არა შესაძლო დანაშაულებების ჩადენაში, სავარაუდოდ ყველაზე მეტად პასუხისმგებელი პირები, ან პირთა ჯგუფები იმ პიროვნებათა პოპულაციაში, რომელზეც სავარაუდოდ იქნება გამახვილებული მოცემული გამოძიების ყურადღება; და (ii) დანაშაულის სიმძიმე გაანალიზებული უნდა იყოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი თვალსაზრისით, და მოცემულ საქმეში, ესეთი ფაქტორები, როგორიცაა შესაძლო დანაშაულის ხასიათი, მასშტაბი და ჩადენის ხერხი, და აგრეთვე დანაშაულებების ზეგავლენა დაზარალებულებზე, წარმოადგენენ დანაშაულის სიმძიმის ინდიკატორებს.[73]

52. პროკურორის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (შუამდგომლობის დანართი B.1) ცხადია, რომ გამოძიება სავარაუდოდ შეეხება დანაშაულებებზე ყველაზე მეტად პასუხისმგებელს პირებს.

53. რაც შეეხება დანაშაულებების ხასიათს, პალატა მიუთითებს, რომ ზემდგომი ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ პოტენციური საქმეების ფარგლებში შესაძლოა განხილული იყოს სამხედრო დანაშაულებებისა, და კაცობრიობის წინაშე დანაშაულებების მთელი რიგი.

54. პალატა აღნიშნავს, რომ სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული ძალების მიერ ეთნიკური ქართველების წინაშე ჩადენილი დანაშაულებებების (გაერთიანებულია ერთ პოტენციურ

[73] <u>გადაწყვეტილება კომორების კავშირის შუამდგომლობაზე პროკურორის 'გამოძიების არ დაწყების' გადაწყვეტილების განხილვის შესახებ</u>, პარ. 21; აგრეთვე იხილეთ <u>გადაწყვეტილება კენიის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ</u>, პარ. 60-62; <u>გადაწყვეტილება კოტ-დ'ივუარის სიტუაციის გამოძიების დაწყების უფლებამოსილების შესახებ</u>, პარ.203-205.

საქმეში) შედეგი გახდა 51-113 მკვლელობა, 5000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლის განადგურება და 13400 – 18500 ადამიანის იძულებითი გადაადგილება, რამაც, პროკურორის შეფასებით, გამოიწვია სამხრეთ ოსეთის ეთნიკურად ქართული მოსახლეობის 75 პროცენტიანი დაკლება. ამ ინფორმაციიდან გამომდინარეობს, რომ მოცემული დანაშაულებების მასშტაბი და ზეგავლენა მძიმეა და მნიშვნელოვანია. პალატა აგრეთვე აღნიშნავს, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის გაძევების მიზნით გამოყენებული იყო სასტიკი მეთოდები (იხილეთ ზემოთ, პარ. 20-22).

55. რაც შეეხება სამშვიდობო ძალებზე თავდასხმების დანაშაულებებს, პალატა აღნიშნავს რომ დანაშაულებების შედეგი, უშუალო მსხვერპლების და მატერიალური ზარალის გარდა, აგრეთვე შეიცავს სამშვიდობო მისიის შესრულების უნარის დაზიანებას.[74]

56. ზემდგომი ფაქტების გათვალიწინების შემდეგ, პალატამ ჩათვალა, რომ პოტენციური საქმეების სიმძიმე ამართლებს სასამართლოს მხრიდან მომდევნო ზომების მიღებას.

57. საერთო ჯამში, პალატამ დაასკვნა, რომ სიტუაციიდან გამომდინარე პოტენციური საქმეები მეტწილად დასაშვებია წარმოებაში.

III. არსებობს თუ არა არსებითი საფუძველი იმ ვარაუდისათვის, რომ ყველაფრის მიუხედავად, გამოძიება არ მოემსახურება მართალმსაჯულობის მიზნებს

58. ბოლოს პალატამ, წესდების 53(1)(c) მუხლის შესაბამისად, უნდა განიხილოს "დანაშაულის სიმძიმის და დაზარალებულთა ინტერესების გათვალისწინებით, არის თუ არა, ამისდა მიუხედავად, არსებითი საფუძველი, იმ ვარაუდისთვის, რომ გამოძიება არ ემსახურება მართლმსაჯულების მიზნებს". ქვეპარაგრაფები (a) და (b)-საგან განსხვავებით, რომლებიც დადებით დასკვნას ითხოვენ, ქვეპარაგრაფ (c)-ში პროკურორისგან არ მოითხოვება იმის დამტკიცება, რომ გამოძიების დაწყება ემსახურება მართალმსაჯულობის მიზნებს. რადგანაც პროკურორმა არ დაადგინა, რომ საქართველოს სიტუაციის გამოძიების დაწყება "მართალმსაჯულობის ინტერესებს სავარაუდოდ არ მოემსახურება", და აგრეთვე, წესდების მე-15(3) მუხლის შესაბამისად, მიღებილი დაზარალებულების საწარმომადგენლო ფორმების შინაარსის მიხედვით (რომლებში დაზარალებულები გადამეტებულად ითხოვენ გამოძიების დაწყებას), პალატა თვლის, რომ ნამდვილად არ არსებობს არსებითი საფუძველი იმ ვარაუდისთვის, რომ გამოძიება არ მოემსახურება მართალმსაჯულობის მიზნებს.

IV. დასკვნა

59. ვინაიდან შესრულებულია წესდების 53(1) მუხლის ყველა წინაპირობა, პალატა თვლის, რომ არსებობს მართებული საფუძველი გამოძიების დაწყებისათვის, და ამიტომ პროკურორს უნდა მიეცეს გამოძიების დაწყების უფლებამოსილება.

60. ამ ეტაპზე პალატა საჭიროდ თვლის სანქციონირებული გამოძიების ფარგლების ახსნა-განმარტებას, განსაკუთრებით, შუამდგომლობაში მოყვანილი გარკვეული არგუმენტების მიხედვით.

[74] I წინასასამართლო პალატა, "ბრალდების დამყარების გადაწყვეტილება", 8 თებერვალი 2010, ICC-02/05-02/09-243-Red, par. 33.

61. შუამდგომლობაში პროკურორი ითხოვს “2008 წლის 1 ივლისიდან 2008 წლის 10 ოქტომბრამდე, საქართველოს სიტუაციაში, სამხრეთ ოსეთში და მიდამოებში, ჩადენილი სამხედრო დანაშაულებების, და დანაშაულებების კაცობრიობის წინაშე, გამოძიების უფლებამოსილებას.” (პარ. 1 და 349)

62. ამავე დროს, შუამდგომლობის სხვადასხვა პუნქტებში პროკურორი პალატისგან ითხოვს “გამოძიების საგნის შეცვლის ან გაფართოვების ნებართვას, მოცემული, ან სხვა შესაძლო დანაშაულებების, ინციდენტების და ადამიანთა ჯგუფების პარამეტრებით, ან/და ნებართვას, შეცვალოს საქმეების სამართლებრივი კვალიფიკაცია, თუ მის განხილვაზე წარდგენილ საქმეებს საკმარისი კავშირი ექნებათ იმ სიტუაციასთან, რომელზეც გაიცა უფლებამოსილება” (შუამდგომლობა, პარ. 12, 51, 277).

63. პალატის თვალსაზრისით, პროკურორის პოზიცია საფუძვლიანია. სინამდვილეში, წესდების მე-15 მუხლის პროცედურის ეფექტური განხორციელება არ მოითხოვს პროკურორის გამოძიების შეზღუდვას პალატის უფლებამოსილების გაცემის გადაწყვეტილებაში ჩამოთვლილ დანაშაულებებამდე. გამოძიების ასეთი შეზღუდვა არალოგიკურია, ვინაიდან ცხადია, რომ წესდების მე-15(3) და (4) მუხლების შესაბამისი ანალიზი დაფუძნებულია არასრულ ინფორმაციაზე. გამოძიების მიზანი მდებარეობს ზუსტად სათანადო მტკიცებულებების მოპოვებაში მასზედ, რომ დადგენილი იყოს რომელ საქმეებში იქნება (ან არ იქნება) დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა. პროკურორის შეზღუდვა გამოძიების უფლებამოსილების გაცემის გადაწყვეტილებაში აღნიშნული დანაშაულებების გამოძიებამდე აგრეთვე არ შეესაბამება პროკურორის ობიექტური გამოძიების ჩატარების მოვალეობის შესრულებას, რაც აუცილებელია ჭეშმარიტების დადგენისათვის (იხილეთ წესდების მუხლი 54(1)).

64. აქედან გამომდინარეობს, რომ წინასასამართლო პალატის მიერ გაცემული გამოძიების დაწყების უფლებამოსილება ვრცელდება სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ ყველა დანაშაულზე. მოცემული უფლებამოსილება შეზღუდულია მხოლოდ სიტუაციის პარამეტრებით, ამ შემთხვევაში: სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მიდამოებში 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე კონფლიქტის ფარგლებში მომხდარი ინციდენტებით. სხვა სიტყვებით, ის შემთხვევა, რომელიც არ მოხდა სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ან მიდამოებში, ან რომელსაც ადგილი არ ჰქონდა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, არ დააკმაყოფილებს არსებული სიტუაციის პარამეტრებს, თუ არ იქნება ცხადად დაკავშირებული მოცემულ სიტუაციასთან, და ამ მიზეზიდან გამომდინარე არ შევა სასამართლოს იურისდიქციაში.

65. ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ წესდების 50-ე მუხლის თანახმად, ყველა საწარმომადგენლო ფორმის შემომტანი დაზარალებული პირი მიიღებს შეტყობინებას მოცემული გადაწყვეტილების შესახებ. სასამართლოს კანცელარია იზრუნებს დაზარალებულების შეტყობინებაზე.

მოცემული მიზეზების გამო, პალატა

აღჭურავს პროკურორს სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი, საქართველოში, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და მიდამოებში, 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე ჩადენილი, დანაშაულებების გამოძიების დაწყების უფლებამოსილებით; და

ავალებს რეგისტრატორს იზრუნოს საწარმომადგენლო ფორმების შემომტანი დაზარალებული პირების მოცემული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმირებაზე.

მოსამართლე პეტერ კოვაჩმა გადაწყვეტილებას თან დართო ცალკე თანხვდენილი დასკვნა.

შედგენილია ინგლისურ და ფრანგულ ენაზე, ინგლისური ვერსია ჩაითვალოს ორიგინალად.

/ხელმოწერილია/

თავმჯდომარე

მოსამართლე ჯოის ალუოჩი

ხელმოწერილია/

მოსამართლე კუნო ტარფუსერი

/ხელმოწერილია/

მოსამართლე პეტერ კოვაჩი

2016 წლის 27 იანვარი

ჰააგა, ნიდერლანდები